

# ახალი აღქმა

რუბრიკის სტუმარი

## ვიორჯი ბერიაშვილი



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტმა, 18 წლის გიორგი ბერიაშვილმა, დასთან ერთად, ოთხი თვის წინ ორიგინალური ბიზნესი წამოიწყო — საკუთარი ნახატები სამოსის დიზაინს მორგო და მომხმარებელს შესთავაზა. სხვათა შორის, G-her-ის შემქმნელი გიორგი, რომელსაც უკვე ორი პერსონალური გამოფენა ჰქონდა, მესამისთვის ემზადება.

— პირველი გამოფენა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2013 წელს მქონდა, მეორე კი — 2015-ში, „იკა არტში“. დაახლოებით ერთ თვეში კი მესამე გამოფენას ვგეგმავ. პირველ ორ გამოფენაზე უამრავი დადებითი შეფასება მივიღე, როგორც რიგითი დამთავალიერებლებისგან, ასევე მხატვრებისგანაც, რომლებმაც დიდი მომავალი მიინანაწარმეტყველეს. პირველ გამოფენაზე ყველაზე დიდი მონონება გრაფიკულმა ნამუშევრებმა დაიმსახურა. მეორე გამოფენაზე ფერწერული ნამუშევრების რაოდენობა საგრძობლად გაზარდეს. საერთოდ, ამ მხრივ დიდ პროგრესს მივაღწიე და დღეს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთ სფეროში არ ვხატავ.

— გიორგი, როგორც ვიცი, 13 წლიდან ხატავ. რატომ გადაწყვიტე, საკუთარი შემოქმედება საზოგადოებისთვის ამ მეთოდით მიგენოდეინა და არა პირდაპირი, გამოფენა-გაყიდვით, როგორც მხატვრების უმეტესობა აკეთებს?

— მხატვრისთვის ძალიან დიდი პიარია, თუ მისი ნამუშევრები ხალხს თვალში მოხვდება. მაშინ, როცა ვინმეს შენს მიერ გაფორმებული მაისური თუ სხვა სამოსი აცვია, ამით ნახატის

# მხატვარი, რომელიც განსასჯელს ორიგინალურად აფორმებს

## 18 წლის გიორგი ბერიაშვილი მესამე გამოფენისა და „თბილისი Fashion Week“-ისთვის ემზადება

პოპულარობა იზრდება, რასაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. იდეა ჩემს დას, თაკოს გაუჩნდა და, დაახლოებით, 4 თვის წინ, მისი განხორციელება გადაწყვიტეთ.

ნახატის სამოსზე გადატანა სუბლიმაციური ბეჭდვით ხდება და ხარისხიც მაქსიმალურადაა დაცული. დიზაინერი და ამ საქმის მენეჯერიც ჩემი დაა. როცა პროდუქციის დებიუტს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და ბევრმაც შეიძინა. საერთოდ, ნახატები ისეთია, რომ ტანისამოსს მოუხდეს — ძირითადად პორტრეტები და ფერწერული აბსტრაქციები.

— სამოსის დიზაინში თუ ერევი? G-her-ის პროდუქცია ძირითადად მდებარეობს სექსის მომხმარებელზე გათვლილი?

— რა თქმა უნდა, ვერევი — შეთანხმების გარეშე არაფერს ვწყვეტო. დიახ, სამოსი ქალებისთვისაა განკუთვნილი... თავიდან ვფიქრობდით, ტანსაცმელი ორივე სექსისთვის შეგვექმნა, მაგრამ არ გამოვიდა, რადგან მომხმარებელთა უმეტესობა მდებარეობს სექსის ნარმომადგენელია, თუმცა შეიძლება, შეკვეთები მამაკაცებისგანაც მივიღოთ და სამოსს მათი მოთხოვნის შესაბამისად შევქმნათ.

— არსებობს სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც ქართველების საყვარელი ფერი შავია, თუმცა შენი პროდუქცია ფერითა სიჭრელით გამოირჩევა...

— საერთოდ, შავი ძალიან გავრცელებულია, მაგრამ ვფიქრობ, მთავარი ფერი არ უნდა იყოს. ეს ნაზიჯი სწორედ ამის გამოც გადავდგი — ყოველდღიურობაში სხვა ფერების შემოტანაც მინდა. სხვათა შორის, ბოლო დროს ჩემს ყურადღებას მწვანე იპყრობს.

ისე, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ რამდენიმე მალაზიამ თანამშრომლობა შემოგვთავაზა, რამდენიმე კაფე-გალერეაც დაგვიკავშირდა. გარკვეულ ყურადღებას ხალხიც იჩენს ანუ შეიძლება, ყოველდღიური შეკვეთები არ გვაქვს, მაგრამ მოთხოვნა ნამდვილად არსებობს.

— როცა ბიზნესი დაიწყო, ასეთ შედეგს ელოდი თუ მეტის მოლოდინი გქონდა?

— ალბათ, უფრო მეტს ველოდი და მეგონა, ხალხი მეტ აქტიურობას გამოიჩენდა, მაგრამ ჯერჯერობით ასეა: ბევრს მოსწონს, მაგრამ ცოტა იძენს. ეს შეიძლება, მუქ ფერებთან დაკავშირებული სტერეოტიპის შედეგია ან შეიძლება, ჯერ ექვსის თვალთ გვიყურებენ.



— ტანისამოსზე ნახატებს არ იმეორებ და ხატვა, ალბათ, საკმაოდ სწრაფად გინევის. სხვადასხვა დიზაინის სამოსისთვის ნახატების მორგება არ გიჭირს?

— პროცესი, მართლაც, შრომატევადია — ყოველდღე არა, მაგრამ ახალი ნახატის შექმნა კვირაში ერთხელ მაინც მინევის. ისე, ნახატების სამოსის დიზაინისთვის მორგება თავიდან საკმაოდ გამიჭირდა, რადგან ამ სფეროში ანუ დიზაინში ჩახედული არ ვიყავი, თუმცა ჩემი და ძალიან დამეხმარა. შემდეგ, თანდათან შევეგუე და პროცესიც გამარტივდა.

სხვათა შორის, ჩემი ახალი კოლექცია შეიძლება, „თბილისი Fashion Week“-ზე გაეიტანოს.

# დაცვის პოლიციის დაპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დაპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, ნვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის

მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

### საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

- ვადა: 12 თვე
- გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
- ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
- ყოველთვიური ანაზღაურება: 95 ლარი;

### სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

- 1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
  - 2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
  - 3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;
- წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.
- დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).



## სამხედრო-საკონტრაქტო სამსახური